



საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

2019 წელი

საქართველოს საგარეო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ახალი არქივის შენობა



- ❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დიდი ლილოს დასახლებაში მდებარე საერთო სასამართლოების არქივის არსებული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებითი საცავის შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.
- ❖ არქივის ახალი შენობა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა ქარჩავამ და საერთო სასამართლოების არქივის ხელმძღვანელმა ნონა კვაშილავამ გახსნა.



- ❖ ახლად მიშენებული საარქივო შენობის ფართი დაახლოებით 360 კვადრატული მეტრია (თითოეული დონის ფართი).



ახალი არქივის შენობა

- ❖ არქივის ახალი ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების მასალად გამოყენებულია ლითონის კარკასი (ლითონის სვეტები, ფერმები, კოჭები) რკინა-ბეტონის ლენტური და წერტილოვანი საძირკვლები.
- ❖ ფასადი და სახურავი აწყობილია პროფილირებული საკედლე (უწვადი მინერალური ბამბის სენდვიჩ-პანელით 50 მმ სისქით, თუნუქით 0,5 მმ სისქით) სენდვიჩ-პანელებით.
- ❖ ძველი და ახალი შენობები საერთო გვერდის მხრიდან დაკავშირებულია დიობით.



- ❖ არქივის ეზოს პერიმეტრზე მოეწყო ღობე (ლითონის კუთხოვანაში ჩასმული ლითონის ბადე) რკინა-ბეტონის საფუძველზე.
- ❖ მთლიან პერიმეტრზე მოეწყო გარე განათება.
- ❖ თავიდან დამონტაჟდა სარწყავი სისტემა.
- ❖ შენობის სიმაღლე სახურავის ჩათვლით - 7,3 მეტრამდე აღწევს.

ახალი არქივის შენობა



- ❖ ახალ და არსებულ შენობაში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოების სისტემები.
- ❖ ხანძრის შემთხვევაში საარქივო მასალების მაქსიმალურად გადარჩენის მიზნით გათვალისწინებულია ხანძარქრობის აირსისტემა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელმაც მოიცვა როგორც არსებული ასევე ახალი ნაგებობის ფართობი.



- ❖ დაკვამლიანების აღკვეთის მიზნით დამონტაჟდა კვამლის მოშორების გამწოვი სისტემები როგორც არსებულ, ასევე ახალი არქივის შენობის სივრცეებისთვის.





ახალი არქივის შენობა

- ❖ ახალი შენობის შიდა ფართი ორდონიანია, სადაც განლაგებულია სტელაჟები საარქივე საქმეების დასაარქივებლად.



- ❖ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა ძველი არქივის შენობა.



- ❖ შემოიღობა და კეთილმოეწყო ეზო.
- ❖ მოეწყო ასფალტო-ბეტონის საფარი.
- ❖ მოეწყო გამწვანების სივრცე.

ახალი არქივის შენობა



- ❑ არქივის გეოგრაფიული მდებარეობიდან და უსაფრთხოებიდან გამომდინარე დამონტაჟდა მეხამრიდი.
- ❑ ტერიტორიაზე მოეწყო ცალკე მდებარე საპირფარეშო, რომელიც არის კაპიტალური შენობა-ნაგებობა სექტივით, მათ შორის არის თითო-თითო ქალის, კაცის და შშმ პირებზე გათვლილი. საპირფარეშოს კომუნიკაციები ისეა გათვლილი, რომ ზამთრის პერიოდში წყლის მიღები არ გაიყინება.



- ❖ მოეწყო მაღლივი ბილბორდი განათებით და წარწერით „საერთო სასამართლოების არქივი“, რომელიც უადვილებს მომხმარებლებს არქივის შენობის ლოკაციის დადგენას.
- ❖ ახლად აშენებული შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის.
- ❖ მოქალაქეებისათვის მოეწყო მოსაცდელი.

- ❖ არქივის ტერიტორიაზე მოეწყო ავტოსადგომი (ასფალტობეტონის ზედაპირით), რომელიც გათვლილია 7 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის. მათ შორის გათვალისწინებულია 1 ერთეული შშმ პირთა სარგებლობისათვის.





**საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ
თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის
საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს**



❖ დეპარტამენტის დაკვეთით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს.

❖ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალ შენობაში ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოლეგიების გადაყვანა.



საერთო სასამართლოების დეპარტამენტის
მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს
ახალი შენობის საპროექტო სამუშაოები
მიმდინარეობს



- ❖ ამ ეტაპზე პროექტი გადაგზავნილია ექსპერტიზაზე ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროში.
- ❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი პროექტის ვიზუალი და გეგმარება განხილულია და მოწონებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.





საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ რეგიონალური მივლინების ფარგლებში შეხვედრები გამართა

- ❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა ქარჩავამ სამსახურებრივი მივლინების ფარგლებში მოინახულა ქუთაისის ფოთის, ბათუმის საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ხელვაჩაურის რაიონული, ქობულეთის, ქედის მაგისტრატი სასამართლოები.



- ❖ დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავამ შეხვედრები გამართა საერთო სასამართლოების თავმჯდომარეებთან, მენეჯერებთან და სასამართლოების სხვა თანამშრომლებთან.
- ❖ გაეცნო საერთო სასამართლოების შენობების მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სასამართლოებში განთავსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შეხვედრები გამართა სასამართლოების თავმჯდომარეებთან



- ❖ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში შოთა ქარჩავასა და სასამართლოს თავმჯდომარის ნატრული აკობიას შეხვედრაზე განხილულ იქნა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობის მიმდინარე სრულმასშტაბიანი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების პროცესი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სამ სართულიანი ფლიგელის მიშენება.



- ❖ შეხვედრაზე ასევე განიხილეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს არსებულ შენობაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და სასამართლოში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.




ზუგდიდის რაიონული სასამართლო

- ❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დაასრულა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობის მასშტაბური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები.



- ❖ პროექტის ფარგლებში სასამართლოს არსებულ შენობას დაემატა დაახლოებით 300 კვ.მ. საოფისე ფართი






- ❖ მოეწყო ადგილობრივი სასამართლოს არქივი.
- ❖ შენობაში ასევე მოეწყო არასრულწლოვანთა გასაუბრების ოთახი.
- ❖ ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის სამუშაოები.





ზუგდიდის რაიონული სასამართლო

- ❖ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიშენება-რეაბილიტაციის პროექტი ასევე ითვალისწინებდა არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას



- ❖ სრული რეაბილიტაცია ჩატარდა სასამართლოს შენობას.
- ❖ კეთილმოეწყო.
- ❖ მოეწყო პანდუსი შშმ პირებისთვის.



- ❖ დამონტაჟდა ფასადის და ეზოს გარეგანაბება.



- ❖ შენობის საძირკვლის გრუნტის აგრესიული წყლისგან (ნესტისგან) დასაცავად მოეწყო სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემა



- ❖ ახალ მიშენებულ ფართში განთავსდა ხუთი მოსამართლისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახი, ხოლო აპარატის თანამშრომლებისათვის დაემატა სამი სამუშაო ოთახი.
- ❖ სასამართლოს შენობაში მოეწყო საიდუმლო ოთახი.





სერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შეხვედრები გამართა სასამართლოების თავმჯდომარეებთან

❖ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან დიმიტრი გვრიტი-შვილთან შეხვედრაზე განხილულ იქნა შენობის მე-3 სართულზე არსებულ სივრცეებში დამატებითი სამუშაო ფართების შექმნის საკითხი. ასევე დათვალა იერებულ იქნა დამხმარე შენობა-ნაგებობის გამაგრების სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი



❖ დეპარტამენტის თავმჯდომარემ მოინახულა სასამართლოს შენობაში განთავსებული არასრულწლოვანთა შეხვედრების სპეციალიზირებული ოთახი, სადაც საოჯახო დავების მოსამართლე, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი არასრულწლოვანთან გასაუბრებას შესაბამის გარემოში მოახდენენ.





❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დამხმარე შენობაში გამაგრების სამუშაოები განახორციელა.



❖ შენობის გამაგრება-გადლიერების პროექტი შესრულებულია ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.



ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

- ❖ პროექტის მიხედვით განხორციელდა კედლების შიდა და გარე არმირების სამუშაოები. კუთხოვანებით და ზოლოვანებით მოჩარჩოვდა ფანჯრებისა და კარების ღიობები.



- ❖ განხორციელდა საძირკველის არმირებული ფილის მოწყობა.



საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შეხვედრები გამართა სასამართლოების თავმჯდომარეებთან



- ❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე ფოთის საქალაქო სასამართლო შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, შეხვდა აღნიშნული სასამართლოს თავმჯდომარეს თემურ სიხარულიძეს. შეხვედრაზე შეთანხმდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან შესაბამისი პროექტის შეთანხმების შემდგომ ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობას დაუბრუნდება ძველი, ისტორიული სახე.



- ❖ ხაშურის და ზესტაფონის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეებთან მევლედ ხათაშვილთან და შოთა ნიკურაძესთან შეხვედრისას განხილულ იქნა სასამართლო შენობებში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები: ხაშურში - საბადრაგოს, ხოლო ზესტაფონში სასამართლო შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.



ოზურგეთის რაიონული სასამართლო

- ❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.



- ❖ მთლიანად შეცვალა დაჟანგული, დაზიანებული ლითონის სახურავი.


- ❖ სასამართლოს შენობის ახალი სახურავი მოეწყო ფერადი მოთუთიებული ლითონის ფურცლებით.



- ❖ სხვენის სრული ვენტილაციის მიზნით მოეწყო ორი სამერცხლული.
- ❖ პროექტის მიხედვით სასამართლოში შეიცვალა წყალგადამყვანი სისტემა.



- ❖ სასამართლოს შენობის პირველ სართულზე განლაგებულ სხდომათა დარბაზში მოხვედრა შესაძლებელი იყო მხოლოდ არქივის საცავის გავლით. პროექტის თანახმად გაიჭრა დამატებითი შესასვლელი კარი სხდომათა დარბაზში შესასვლელად, რისი საშუალებითაც შესაძლებელია არქივის საცავის გავლის გარეშე პირდაპირ სხდომათა დარბაზში მოხვედრა.
- ❖ სახანძრო უსაფრთხოების მიზნით მოეწყო გარე ლითონის კიბე.





თბილისის სააპელაციო სასამართლო

- ❖ თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხორციელდა ლიფტის შახტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.



- ❖ დამონტაჟდა 5 გაჩერებიანი ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირის მოხვედრას ოთხივე სართულზე.



❖ ლიფტის ტვირთამწეობა 1250 კილოგრამია და განკუთვნილია მინიმუმ 10 მგზავრისთვის.

❖ ლიფტი აღჭურვილია შესაბამისი სიმძლავრის UPS-ით (უწყვეტი კვების წყარო), რაც ელ.ენერგიის გათიშვის შემთხვევაში უზრუნველყოფს ლიფტით მოსარგებლე მგზავრის მიერ უსაფრთხო მგზავრობის დასრულებას.





თბილისის საქალაქო სასამართლო


- ❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი თბილისის საქალაქო სასამართლოში ახალი ლიფტების სამონტაჟო სამუშაოებს ახორციელებს.



- ❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ძირითად შენობაში დამონტაჟებული იყო საბჭოური წარმოების 2 ლიფტი, რომელსაც რესტავრაცია ბოლოს 2008 წელს ჩაუტარდა, თუმცა მიუხედავად ამისა ლიფტები ხშირად ზიანდებოდა, ასევე ელ.ენერჯის გათიშვის შემთხვევაში ლიფტებიდან გაქედილი მგზავრების გამოყვანა გაძნელებული იყო. ლიფტს შეეძლო მხოლოდ 3-4 ადამიანის ტრანსპორტირება.



- ❖ ახალი ლიფტები ადაპტირებულია შშმ პირთათვის.
- ❖ გაიზარდა ლიფტების გაბარიტული ზომები და ტვირთამწეობა.



- ❖ ლიფტების ტვირთამწეობა შეადგენს 630 კგ, განკუთვნილია მინიმუმ 6 მგზავრისთვის. ელ.ენერგიის გათიშვის შემთხვევაში ახალი ლიფტები აღჭურვილია უწყვეტი კვების ბლოკით- ე.წ. UPS-ით, რაც უზრუნველყოფს უახლოეს სართულზე მგზავრობის შეუფერხებლად დასრულებას და გამოირიცხება მგზავრის გაჭედვა სართულებს შორის.

- ❖ ამ დროისათვის ექსპლუატაციაში მიღებულია ერთი ლიფტი მიმდინარეობს მეორე ლიფტის სამონტაჟო სამუშაოები.



თბილისის საქალაქო სასამართლო

- ❖ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული დიზელ გენერატორი შენობისთვის დენის გათიშვის შემთხვევაში, ვეღარ უზრუნველყოფდა სასამართლოს მზარდი საჭიროების ალტერნატიული ელ.ენერჯის მოხმარების სრულ დაკმაყოფილებას.



- ❖ ზემოაღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით დეპარტამენტის მიერ შექმნილ იქნა ახალი მძლავრი დიზელ გენერატორი, რომელიც ასევე გათვლილია მომავალში შენობის მზარდი ელ.ენერჯის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.




- ❖ ბათუმის საქალაქო სასამართლოში განსასჯელთა-დროებით დაკავებული პირების განსათავსებლად საკნების რაოდენობა არასაკმარისი იყო, რაც პრობლემას ჰქმნიდა სისხლის და ადმინისტრაციული საქმეთა განხილვისას დაკავებულ პირთა მოყვანის დროს.
- ❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ გადაწყდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ეზოში, შენობის უკანა მხრიდან, დამატებითი ფართის მიშენება.



ბათუმის საქალაქო სასამართლო

- ❖ ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, შესაბამისად სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხრიდან კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, საკნების მშენებლობაზე თანმობის მისაღებად პროექტი შეთანხმდა ს.ს.ი.პ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან.




- ❖ ბათუმის საქალაქო სასამართლოში საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განახორციელა როგორც შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტირდა 7 სამუშაო ოთახი), არსებული საბადრაგოს ორი საკანი, ასევე ახალმიშენებულ ფართში განთავსდა ოთხი ახალი საკანი. ბათუმის საქალაქო სასამართლოში საკნები გერმანული სასამართლოების საკნების ანალოგიური პროექტით მოეწყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლო



❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა ქარჩავამ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა ვანო ბოლქვაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას



❖ შეთანხმების მიზანი ემსახურება ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შენობის სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დეტალური დოკუმენტაციის შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერის ერთობლივად ჩატარებას.



ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურთან

- ❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს შორის საერთო სასამართლოებში სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში განთავსების და გამოქვეყნების მიზნით სპეციალური ელექტრონული პორტალის შექმნის შესახებ ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა.
- ❖ პორტალით სარგებლობა 2019 წლის მაისის თვიდან ყველა დაინტერესებული პირისათვის იქნება ხელმისაწვდომი, სადაც საერთო სასამართლოებში მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცემა რეალურ გარემოში სხვადასხვა საძიებო პარამეტრებით იხილონ საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული და ძალაში შესული გადაწყვეტილებები.




- ❖ აღნიშნული პორტალის მეშვეობით 2019 წლიდან დაიწყო იმ რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის, რომლებიც სასამართლოში წარმოადგენენ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მხარეებს, (გარდა სასამართლო გადაწყვეტილებებისა) მოიძიონ ინფორმაცია გადაწყვეტილებებთან და სასამართლო საქმეებთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული დოკუმენტაციის შესახებ, ასევე მიიღონ ინფორმაცია სასამართლოში ჩანიშნული სხდომების შესახებ, გაეცნონ მათთვის განკუთვნილ საჯარო შეტყობინებებს.

ავტოპარკის განახლება



- ❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ახალქალაქის, ახალციხის, ოზურგეთის და ზუგდიდის რაიონული სასამართლოებისათვის 4 ახალი მაღალი გამავლობის ფრანგული წარმოების „რენო დასტერი“ (RENAULT DUSTER) მოდელის ავტომობილები იქნა შეძენილი.



- ❖ ახალი, მაღალი გამავლობის წარმოების ავტომობილებმა რეგიონებში ჩაანაცვლეს რუსული წარმოების „ლადა ნივა“-ს მარკის ავტომობილები, რომლებიც ამორტიზირებული იყო და მათი შენახვა არარენტაბელურ ხარჯს წარმოადგენდა.



- ❖ ერთი ავტომობილი „რენო სანდერო“ გადაეცა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.



ავტოპარკის განახლება

- ❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ასევე ჩანაცვლებული და დამატებით იქნა შეძენილი 5 ერთეული ფრანგული წარმოების „რენო სანდერო“ (RENAULT SANDERO) და 1 ერთეული „რენო დასტერი“ (RENAULT DUSTER). სამი ავტომობილი „რენო სანდერო“ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს ავტოპარკს, ხოლო ერთი ავტომობილი ჩაუნაცვლდა ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ავტოპარკს.



- ❖ დაზიანებული „ლადა ნივა“-ს ნაცვლად ერთი მაღალი გამავლობის „რენო დასტერი“ გადაეცა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს, მისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.
- ❖ აღსანიშნავია, რომ ძველი ავტომობილები ამორტიზირებული იყო და მათი შენახვა არარენტაბელურ ხარჯს წარმოადგენდა. ახალი ავტომობილები მუშაობს დიზელის საწვავზე, რომელიც გაცილებით ეკონომიურია და მათი შენახვა-ექსპლუატაცია უფრო ნაკლები დანახარჯებით არის შესაძლებელი.




საერთო სასამართლოების დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში



❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე ესტონეთის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ადმინისტრაციის გენერალური მდივნის მოადგილის, ვილიარ პიიპის მოწვევით 2019 წლის 23-26 იანვარს სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ქ.ტალინში და ქ.ტარტუში




❖ მივლინების ფარგლებში დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა ქარჩავამ დაათვალიერა ქ.ტალინის და ქ. ტარტუს საქალაქო სასამართლოების შენობები, შეხვდა აღნიშნული სასამართლოების ხელმძღვანელ პირებს და ასევე სახელმწიფო უძრავი ქონების განვითარებისა და მშენებლობის სააგენტოს დირექტორს მიჰკველ მაგერს.





საერთო სასამართლოების დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში

❖ დეპარტამენტის წარმომადგენლები დეტალურად გაეცნენ და დაათვალიერეს ქ. ტალინის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა, საბადრაგო ნაწილი, სასამართლოს უსაფრთხოების სამსახურის ოთახები, მოსამართლეების და მათი თანაშემწეების სამუშაო ოთახები და სასამართლოს პერსონალის სამუშაო ადგილები.



❖ ესტონელი კოლეგების მიერ გაზიარებული გამოცდილება და მიღებული ინფორმაცია იქნება გათვალისწინებული და გამოყენებული თბილისის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის განკუთვნილი ახალი საქალაქო სასამართლოს შენობის მშენებლობისას.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან

არსებულმა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი პროექტები დანერგა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით




- ❖ სისტემური და ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის, ვიზუალიზაციისა და ანალიტიკის პროგრამის კომპლექსური გადაწყვეტილება.
- ❖ ქსელური უსაფრთხოების NG-Firewall სისტემა ინციდენტების მართვისა და ტექნიკის აღრიცხვის ცენტრალიზებული მენეჯმენტის სისტემა დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის(BGP) უზრუნველყოფა, სარეზერვო ასლების შემნახველი სისტემები, ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოების სისტემა, ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის არქიტექტურის შემუშავება და ახალი სისტემებით ჩანაცვლება.



- ❖ IT ინფრასტრუქტურის მონიტორინგის პროგრამის კომპლექსური დანერგვისთვის კომპანიებმა: “Softline Georgia”, “Oberig-IT”, “Solarwinds” სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გადასცეს პრიზი - "ინფორმაციული ტექნოლოგიების წლის ინოვაციური პროექტი 2019".



ვიდეო-საკონფერენციო სისტემის დანერგვა




- ❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 9 რაიონულ სასამართლოში ვიდეო-საკონფერენციო სისტემა დანერგა-ამოქმედა.



ვიდეო-საკონფერენციო სისტემის დანერგვა



- ❖ ვიდეო-საკონფერენციო სისტემის მეშვეობით სასამართლოებში შესაძლებელი გახდა მოწმეების, ექსპერტების, შშმ პირების და სხვა ტიპის დისტანციური ჩართვები სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.



- ❖ ვიდეო-საკონფერენციო სისტემა დაინერგა და ამოქმედდა ზესტაფონის, სენაკის, ცაგერის, ამბროლაურის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, საჩხერის და ფოთის რაიონულ სასამართლოებში.




- ❖ 2019 წლის დასაწყისში თბილისის საქალაქო სასამართლოში საბეჭდი ტექნიკის განახლების ფარგლებში სრულად შეიცვალა საბეჭდი ტექნიკა (მრავალფუნქციური პრინტერი 320 ერთეული).
- ❖ საერთო სასამართლოების მაშტაბით დაინერგა დამოუკიდებელი ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის უზრუნველყოფის მომსახურება (საერთაშორისო სტატიკური აი-პი მისამართების მიღების RIPE NCC)
- ❖ საერთო სასამართლოების მაშტაბით დაინერგა სისტემური და ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის, ვიზუალიზაციისა და ანალიტიკის პროგრამა



- ❖ დაინერგა ინციდენტების მართვისა და ტექნიკის აღრიცხვის ცენტრალიზებული მენეჯმენტის სისტემა.
- ❖ 2019 წლის ნოემბრის თვეში შეიქმნა ცენტრალიზებული ფაილ სერვერი, რომელსაც პირველ ეტაპზე იყენებს IT მართვის სტრუქტურები.
- ❖ შესყიდულ იქნა დამატებითი ლიცენზიები საერთო სასამართლოების დატა ცენტრში არსებულ ბლეიდ შასსის ოპტიკურ სვიჩისთვის, სერვერების დამატების პერსპექტივით.
- ❖ საერთო სასამართლოების მასშტაბით დაინერგა IP ტელევიზია სულ 67 წერტილი.



- ❖ 2019 წელს იანვრის თვეში გაფორმდა ხელშეკრულება დატა ცენტრის გაგრილების, უწყვეტი კვების და სახანძრო უსაფრთხოების სერვისის შესახებ.
- ❖ შეძენილ იქნა და დაინერგა დისკური რეზერვირების 2 ერთეული სისტემა Dell EMC Data Domain, რომელზეც განთავსდა სასამართლო საქმის წარმოების ელ.სისტემის დოკუმენტების სარეზერვო კოპიები. 2019 წელს დაინერგა ახალი Dell ESRS სისტემა, რომელიც ემსახურება Dell EMC Data Domain რეზერვირების სისტემებს და სასამართლო სხდომების ვიდეო ჩანაწერების რეზერვირების სისტემას (EMC Isilon).
- ❖ დაინერგა ვირტუალური სერვერების რეზერვირების სისტემა (Veeam Backup & Replication), რომლის მეშვეობითაც ხდება დატა ცენტრში არსებული ვირტუალური სერვერების ბექაპი



- ❖ შესყიდულ იქნა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესის მონიტორინგის და შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის კონტროლის ავტომატიზაციის საშუალებების - ფუნქციონალური და წარმადობის ტესტირების პროგრამული პაკეტი.




❖ კომპიუტერული ქსელის რეაბილიტაციის ფარგლებში ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის საქალაქო და მცხეთის რაიონულ სასამართლოებისთვის შესყიდულ იქნა, დამონტაჟდა და დაკონფიგურირდა ახალი CISCO-ს წარმოების ქსელური კომპუტატორები. სულ 20 ერთეული.



❖ 2019 წლის ივლისის თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოში დაინერგა თანამედროვე რიგის მართვის სისტემა.

❖ ივლისის თვეში დაინერგა უახლესი ელ.ფოსტის სისტემა Microsoft Exchange 2019, 2019 წლის ნოემბრის თვეში დასრულდა მომხმარებლების გადაყვანა ახალ მეილ სისტემაზე.





- ❖ შესყიდულ იქნა და განაწილდა 12 სასამართლოში მაღალი წარმადობის A3 ფორმატის მულტიფუნქციური ასლგადამღები.
- ❖ საერთო სასამართლოების დატაცენტრისთვის შესყიდულ და დამონტაჟებულ იქნა 3 ახალი ბლეიდ ტიპის სერვერი.



- ❖ თბილისის საქალაქო სასამართლო სრულად გადავიდა IP ტელეფონიაზე (ძველი ანალოგური ტელეფონის აპარატები ჩანაცვლდა 300 ერთეული ახალი IP ტელეფონით).
- ❖ გორის რაიონული და რუსთავის საქალაქო სასამართლო მთლიანად აღიჭურვა ახალი უსაფრთხოების ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით.





❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციის მოთხოვნით ახალ ფლიგელში არსებულ უსაფრთხოების ვიდეო - სამეთვალყურეო სისტემას დაემატა გარე პერიმეტრის ვიდეო - სამეთვალყურეო კამერები.



❖ აბაშის, სამტრედიის, ხონის, ვანის, ხაშურის, ქარელის, მარნეულის მაგისტრატ და რაიონულ სასამართლოებში მთლიანად ჩანაცვლდა უსაფრთხოების ვიდეო - სამეთვალყურეო სისტემა.



- ❖ 2019 წლის ნოემბრის თვეში მოხდა geocourts.ge და court.ge საიტების გადატანა ახალ სერვერულ ფლატფორმაზე.
- ❖ განხორციელდა საერთო სასამართლოების ახალი გარე DNS სერვერების დანერგვა.
- ❖ საერთო სასამართლოების არქივში საპილოტო პროექტის ფარგლებში ჩაეშვა დაარქივებული სასამართლოს საქმეების გაციფრულებისათვის, უკონტაქტო „ოვერჰედის“ ტიპის, ე.წ სკანერი.





- ❖ ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები მთლიანად აღიჭურვა ახალი უსაფრთხოების ვიდეო - სამეთვალყურეო სისტემებით. დამონტაჟდა 74 ერთეული კამერა.



- ❖ საერთო სასამართლოების არქივში ახალ ამენებულ ფლიგელში დამონტაჟდა ახალი უსაფრთხოების ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა (22 ერთეული კამერა). მოეწყო დაცვის ვიდეო მონიტორინგის ოთახი (დამონტაჟდა 2 ერთეული 32“ მონიტორი და 2 ერთეული 22“ მონიტორი), სრულად კონტროლდება პერიმეტრი, მოქალაქეთა მისაღები და სასამართლოს დოკუმენტების საცავი.
- ❖ 2019 წელს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საერთო სასამართლოების მასშტაბით მიწოდებული ძირითადი კომპიუტერული და საბეჭდი ტექნიკის ჩამონათვალი:
 - ❖ პრინტერი მრავალფუნქციური---- 320 ცალი
 - ❖ ნოუტბუქი-----15 ცალი
 - ❖ სკანერი-----37 ცალი
 - ❖ პერსონალური კომპიუტერი----- 392 ცალი
 - ❖ მაღალი წარმადობის ასლგადამღები--- 14 ცალი



საერთო სასამართლოების არქივი

საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი რაიონული სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა ფონდების სისტემატიზაციისა და სასამართლო შენობების განტვირთვის, ასევე საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვისა და ცენტრალიზებული აღრიცხვა-აღწერის მიზნით სამივლინებო საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა რაიონულ და მაგისტრატ სასამართლოში ძირითადი და სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა აღწერა-ინვენტარიზაცია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და მათი განლაგება-განთავსება არქივში შესაბამისი სასამართლოებისათვის გამოყოფილ ფონდებში. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას აღწერილ და მიღებულ იქნა 31 სასამართლოს: თბილისის საქალაქო, თბილისის სააპელაციო ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, გარდაბნის გურჯაანის, დედოფლისწყაროს, რუსთავის, სიღნაღის, ბათუმის, ლანჩხუთის ჩოხატაურის, შუახევის, ქედის, ხულოს, ხელვაჩაურის, ქუთაისის საქალაქო, საჩხერის, ჭიათურის, ბაღდათის, ტყიბულის, ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლის, ფოთის ცენტრალური არქივის, ფოთის საქალაქოს, გალი - გულრიფშისა, ოჩამჩირე-ტყვარჩელის წალენჯიხისა და ჩხოროწყუს როგორც ძირითადი ასევე სხვადასხვა კატეგორიის სულ 128,229 საქმე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის სპეციალურად გამოყოფილ მარჯვენა ფლიგელში დაცული 2006 -2011 წლის ჩათვლით საქმეების ხელახალი ინვენტარიზაცია, მათი განლაგება და აღწერებში ცვლილების შეტანა და ერთიანი საძიებო სისტემის ელექტრონული ვერსიის შექმნა.



აქტიურად მიმდინარეობს როგორც თბილისში, ასევე ქობულეთში, ხობსა და ქუთაისში მდებარე საცავებში დაცული 55 რაიონული და მაგისტრატი სასამართლოს მიერ განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამომიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული საქმეების გასანადგურებლად გამოყოფისა და აქტების შედგენის პროცესი.



დასრულდა საერთო სასამართლოების არქივის საცავში (ქ.თბილისი) განთავსებული 60 ერთეული დახურული, ამორტიზებული სტელაჟის 103 ახალი სტელაჟით ჩანაცვლების პროცესი, რისთვისაც საჭირო გახდა თბილისის საცავში დაცული ყველა სასამართლოს საქმეთა ხელახალი აღწერა და მათი განთავსება წლების, ფონდებისა და კატეგორიების მიხედვით. ახალი ღია ტიპის სტელაჟების განთავსებამ ხელი შეუწყო სათავსის ტევადობის გაზრდას და უზრუნველყოფილი იქნა სასამართლო ფონდების განლაგება ანბანური სისტემით.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლოესი ისტორიის არქივის საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ შეთანხმებული და კანონით დადგენილი წესით დამტკიცდა და განადგურებულ იქნა საერთო სასამართლოების არქივში დაცული ახმეტის რაიონული სასამართლოს 1942-1945 წლების სამოქალაქო სამართლის საქმეთა მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერი და ამავე სასამართლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა მასალების და აგრეთვე ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გარდაბნის, დედოფლისწყაროს, თბილისის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, ლენტეხის, ნინოწმინდის, ონის, რუსთავის, საგარეჯოს, სიღნაღის, სოხუმის, ყვარელის, ცაგერის, წალკის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ქუთაისის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის, ბაღდათის, ბათუმის, ოზურგეთის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის, ხულოს, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ფოთის და ხობის რაიონული და საქალაქო სასამართლოების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამომიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული 98 აქტი 118,580 საქმეზე. მუდმივმოქმედ საექსპერტო კომისიაზე წარსადგენად სრულდება ახმეტის რაიონული სასამართლოს 1946-1976წწ განხილული სამოქალაქო საქმეთა ანაწერების შედგენა.




საერთო სასამართლოების არქივი

მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით აშენდა თანამდროვე ტექნიკით აღჭურვილი მოქალაქეთა მისაღები, სადაც არქივის კანცელარია და არქივარიუსები იღებს დღის განმავლობაში 10-15 მოქალაქეს, ადვოკატსა თუ წარმომადგენელს.

ახალი საცავის მშენებლობის დასრულებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა მიღება-ჩაბარებისა და მათი შემდგომი შენახვის პერსპექტივა.

საერთო სასამართლოების არქივი როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, ქობულეთსა და ხობში ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ და რეაგირებენ საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი სასამართლოებიდან, მოქალაქეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მომართვებსა და წერილებზე. (სულ 31/12/2019 მდგომარეობით 19750)

კვლავ პრიორიტეტად რჩება თბილისის ძველი რაიონების, ასევე მარნეულის, მცხეთის, ყვარელის, ბოლნისის, დმანისის, თელავის, ამბროლაურის და ონის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა ფონდებში 1990 წლამდე დაცული საქმეების დამუშავება.



2020 წელს იგეგმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 დასრულებული, ხოლო სხვა საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ 2016 წლამდე აღწერილი და დადგენილი წესით არქივზე ჩასაბარელი საქმეების მიღება-ჩაბარების სამუშაოები.

პრიორიტეტულია ამორტიზებული 38 სტელაჟის შეცვლისა და 11 ახალი სტელაჟის განთავსების ტექნიკური სამუშაოების დროული დასრულება, რაც ასევე გაზარდის ძველ საცავში განსათავსებელი საქმეების ოდენობას.

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო



2019 წლის განმავლობაში სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს მიერ გამოცხადდა 190 ტენდერი.

მათ შორის: 159 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით;

3 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით

არ შედგა - 27 ტენდერი

შეწყვეტილ იქნა ერთი ტენდერი

წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გაფორმდა 301 ხელშეკრულება.

საკუთარი შემოსავლებით გაფორმდა 90 ხელშეკრულება.

ნორმატიული აქტით დადგენილმა გადასახდელებმა გადააჭარბა 483000 ლარს.

ტენდერებიდან მიღებულმა დანაზოგმა 2019 წლისთვის გადააჭარბა 945000 ლარს.

ექსპერტიზა - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 730000 ლარი.

ფოსტა - შპს საქართველოს ფოსტასთან ადგილობრივი საფოსტო და საფელდეგერო მომსახურებების ჯამური ღირებულება - 1068000 ლარი.



საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო

- ❖ ფინანსთა სამინისტროს მიერ მხარჯავ ერთეულებთან თანამშრომლობით გაწეული მუშაობის შედეგად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად შემუშავებულია ბუღალტრული ანგარიშების ახალი გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2014 წლის მეთოდოლოგიის (GFSM 2014) ეკვივალენტურ ანგარიშებთან.
- ❖ აქტიურ ეტაპზეა სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესის მიმდინარეობა, რომელშიც ჩართულია საჯარო სექტორის საბიუჯეტო ორგანიზაციები, მათ შორის საერთო სასამართლოების დეპარტამენტიც.
- ❖ 2020 წლიდან მხარჯავი ერთეულები ოპერაციებისა და სხვა მოვლენების შედეგად მომხდარი ცვლილების ასახვას მოვახდენთ ახალი ერთიანი უნიფიცირებული ანგარიშთა გეგმის საშუალებით, რომლის დანერგვის მიზანი სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა - ანგარიშგების უზრუნველყოფაა.
- ❖ საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო ახორციელებს ყოველდღიურ საქმიანობას: სხვადასხვა სამმართველოების მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ელექტრონულ პროგრამაში ამზადებს ვალდებულებისა და გადახდის დოკუმენტს შესაბამისი პარამეტრებით შემდგომი გადარიცხვისთვის. თვის მანძილზე განხორციელებული საკადრო ცვლილებების ამსახველ ბრძანებებზე დაყრდნობით ამზადებს შრომის ანაზღაურების საგადახდო დოკუმენტაციას. 6 თვის და წლიურ ჭრილში წარადგენს ბუღალტრულ ანგარიშგებას (ბალანსები) სახაზინო სამსახურის მიერ მოთხოვნილ ფორმატში. ინფორმაცია უნდა ასახავდეს დეპარტამენტის მიერ გაწეულ ფინანსურ საქმიანობას სრულად და შეიცავდეს უტყუარ ინფორმაციას სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე ხარჯვის კუთხით.
- ❖ გარდა აღნიშნულისა საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო ყოველთვიურად ამუშავებს და წარადგენს სხვადასხვა ინფორმაციის ამსახველ დეკლარაციებს, როგორც შემოსავლების სამსახურის, ასევე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ელექტრონულ საიტებზე.




„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2019 წელს საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 75,88 მილიონი ლარი. საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსება შემცირდა 3,45 მილიონი ლარით და შეადგინა 72,43 მილიონი ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგი სახით:

თანხა ლარებში

კოდი	დასახელება	2019 წლის დამტკიცებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	განხორციელებული ცვლილებები	2019 წლის დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	2019 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	75 880 000	-3 450 000	72 430 000	70 828 038	97.8%
	ხარჯები	62 958 000	1 395 500	64 353 500	63 841 561	99.2%
	შრომის ანაზღაურება	46 750 000	818 000	47 568 000	47 434 517	99.7%
	საქონელი და მომსახურება	14 650 000	620 000	15 270 000	14 939 089	97.8%
	სოციალური უზრუნველყოფა	800 000	177 500	977 500	961 176	98.3%
	სხვა ხარჯები	758 000	-220 000	538 000	506 779	94.2%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12 922 000	-4 845 500	8 076 500	6 986 477	86.5%






საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის კომუტატორების შეცვლის მიზნით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობას შორის გაფორმებდა საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით საგრანტო თანხამ შეადგინა 99,50 ათასი ლარი.

თანხა ლარებში

კოდი	დასახელება	მიღებული გრანტი	განხორციელებული ცვლილებები	დაზუსტებული გეგმა	2019 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	99 500	0	99 500	99 500	100.0%
	ხარჯები	0	4 080.00	4 080.00	4 080.00	100.0%
	საქონელი და მომსახურება		4 080.00	4 080.00	4 080	100.0%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	99 500	-4 080.00	95 420.00	95 420.00	100.0%






საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება, როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან (საკუთარი სახსრებიდან). 2019 წლისათვის საკუთარი სახსრების შემოსულობები განისაზღვრა 203,6 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 200 ათასი ლარით. საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გადასახდელები გაიზარდა 70,0 ათასი ლარით და შეადგინა 270,0 ათასი ლარი.

თანხა ლარებში

კოდი	დასახელება	2019 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დამტკიცებული)	განხორციელებული ცვლილებები	2019 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დაზუსტებული)	2019 წელს მიღებული შემოსავალი და გაწეული საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა					
	შემოსულობები	203 600	0	203 600	385 026	189.1%
	გადასახდელები	200 000	70 000	270 000	180 826	67.0%
	ხარჯები	145 000	30 000	175 000	114 206	65.3%
	საკონელი და მომსახურება	90 000	30 000	120 000	87 483	72.9%
	სხვა ხარჯები	55 000		55 000	26 723	48.6%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	55 000	40 000	95 000	66 620	70.1%
	ვალდებულებების კლება	0		0	0	0.0%
	ნაშთის ცვლილება	3 600	-70 000	-66 400	204 199	





❖ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები -----	26
❖ საერთო სასამართლოების ავტოპარკის განახლება -----	31
❖ ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან -----	30
❖ საერთო სასამართლოების დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში -----	33
❖ მნიშვნელოვანი პროექტები ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით -----	35
❖ საერთო სასამართლოების არქივი -----	44
❖ შესყიდვების სამმართველოს ანგარიში -----	47
❖ საბუღალტრო სამმართველოს ანგარიში -----	48
❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსება -----	49



სარჩევი

❖ ახალი არქივის შენობა -----	3
❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის საპროექტო სამუშაოები -----	8
❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ რეგიონალური მივლინების ფარგლებში შეხვედრები გამართა -----	10
❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის შეხვედრა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარესთან --	11
❖ ზუგდიდის რაიონული სასამართლო შენობის მიშენების და სარეაბილიტაციო სამუშაოები -----	12
❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის შეხვედრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან --	16
❖ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დამხმარე შენობის გამაგრებითი სამუშაოები -----	17
❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის შეხვედრა სასამართლოების თავმჯდომარეებთან -----	19
❖ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები -----	20
❖ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები -----	22
❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები -----	24

